პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 40-ე წელი
№ 9 (11620)

სამშაბათი, 12 იანვარი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

პარტიული პროპაგანდის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ღრმად და ყოველმხრივ განმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, უჩვენოს მათი წარმატებით განხორციელება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის პარტიის ბრძოლის მსვლელობაში, ასწავლოს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და შემოქმედებითად განავითაროს პარტიის მიერ შეძენილი თეორიული სიმდიდრე, დარაზმოს მშრომელები პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად, აღზარდოს კომუნიზმისათვის აქტიური და მედგარი მებრძოლები.

თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას და მეტადრე მის გადამწყვეტ დარგს — პარტიულ პროპაგანდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომუნისტური მსოფლმხედველობის შეთვისება, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლება, პარტიის პოლიტიკის ღრმად გაგება საარსებო საჭიროება ხდება თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის. ეს იმით განისაზღვრება, რომ:

ჯერ-ერთი, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის ნაწილობრივ განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, მატერიალური დოვლათის სიუხვის მიღწევა უშუალოდ დამოკიდებულია მშრომელთა შეგნებულობის დონის ამაღლებაზე;

მეორე, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად თანდათან გადაზრდის კვალობაზე მასების დარწმუნება, აღზრდა სულ უფრო მეტად ხდება საბჭოთა საზოგადოების ცხოველმოქმედების რეგულირების ძირითადი მეთოდი.

მესამე, ხასიათის კომუნისტური თვისებებით, ჩვეულებებითა და მორალით აღჭურვილი ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების ლიკვიდაცია ამჟამად ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული ამოცანაა;

მეოთხე, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა არ ასუსტებს იდეოლოგიურ ბრძოლას. ჩვენი პარტია აწარმოებდა და კვლავაც აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას კომუნისტური იდეოლოგიისათვის — თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული და ნამდვილად მეცნიერული იდეოლოგიისათვის.

ამჟამად შექმნილია განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები იდეოლოგიური მუშაობის წარმატებით საწარმოებლად.

პარტიის XX და XXI ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულმა დადგენილებებმა განსაზღვრეს კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის განვითარების პროგრამა. დიად ლენინურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით პარტიამ შეიმუშავა და ახორციელებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ეკონომიურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ დარგებში და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, თვალსაჩინო გამარჯვებანი მოპოვა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი სამშობლო ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის, წარმატებით ასრულებს შვიდწლიანი გეგმის დავალებებს, მტკიცედ ავითარებს ტემპებს კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი გახდა საბჭოთა სოციალისტური წყობილება, განმტკიცდა პარტიისა და ხალხის ერთიანობა, მუშათა და გლეხთა კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, ყველა საბჭოთა ადამიანის ამხანაგური ურთიერთდახმარება და შეკავშირება. უფრო გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი ზოგადი განათლების, კულტურული და პოლიტიკური დონე. კიდევ უფრო ამაღლდა ხალხთა მასების შემოქმედებითი აქტივობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ცხოვრებას ყოველდღე მოაქვს სულ ახალი და ახალი გამარჯვებანი კომუნისტური იდეოლოგიისა, რომელიც ახლა ასეულ მილიონობით ადამიანის გონებას დაეუფლა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის აქტიური ფაქტორი გახდა. ჩვენი მოწინააღმდეგენი შიშს განიცდიან კომუნისტური იდეოლოგიის უდიდესი მიმზიდველი და რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალის წინაშე. მარქსიზმ-ლენინიზმში, სკკპ-ს, მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების გადაწყვეტილებებში ორგანულსინთეზულია თანამედროვეობის მოწინავე იდეები.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენმა პარტიამ ახალი იდეებით გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ყოველმხრივ და ღრმად დაამუშავა სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების კანონზომიერებათა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხები. პარტიამ ახლებურად დააყენა მშვიდობისა და ომის პრობლემები თანამედროვე პირობებში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ძირეული ცვლილება მოხდა სოციალიზმის სასარგებლოდ. სოციალიზმმა სსრ კავშირში არათუ სავებით, არამედ საბოლოოდაც გაიმარჯვა. განუზომლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი, მათი გავლენა მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, მთელი კაცობრიობის ბედზე. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის აქტიური და თანმიმდევრული ბრძოლის მეოხებით დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა რეალური ფაქტია, გაიხსნა დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის გზები.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი და წინსვლის კიდევ უფრო შესანიშნავი პერსპექტივები აღფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს. ახალ შესაძლებლობებს ქმნიან მთელი ჩვენი ხალხის კომუნისტური აღზრდის აღმავლობისათვის.

მოსკოვსა და ლენინგრადში, უკრაინის, ბელორუსიის, აზაზეთის, საქართველოს, უზბეკეთის სს რესპუბლიკებში, სვერდლოვსკის, სარატოვის, ულიანოვსკისა და რუსეთის ფსრ ზოგიერთ სხვა ოლქში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში სერიოზულად გარდაქმნეს პარტიული პროპაგანდა. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრილყო ელემენტები დოგმატიზმისა და მედავითნეობისა— ძირითადი ნაკლი, რომელიც პიროვნების კულტის გავლენით ფართოდ იყო გავრცელებული და ბევრ ზიანს აყენებდა იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. ძირითადად აღკვეთილია არანორმალური მდგომარეობა, როცა პროპაგანდა მიმართული იყო უმთავრესად წარსულისაკენ და წარმოებდა მხოლოდ „საკავშირო კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გარშემო, ამასთან წლობით სწავლობდნენ პარტიის განვითარების რევოლუციამდელ პერიოდს. ყოველივე ეს მშრომელებს არ წარმართავდა იმისათვის, რომ ღრმად შეესწავლათ სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის გამოცდილება, სუსტად ეხმარებოდა ჩვენი პარტიის თეორიისა და პოლიტიკის აქტუალური საკითხების გარკვევას.

სკკპ XX და XXI ყრილობების შემდეგ იდეური ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა და ახალ საფეხურზე ავიდა. კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას უფრო ცოცხალი და მრავალფეროვანი ხასიათი მიენიჭა, ამაღლდა მისი ქმედითობა, მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი. უკვე ხორციელდება კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა, სკკპ ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა უფრო ღრმად შესწავლა და უფრო ფართო პროპაგანდა, შექმნილია მთელი რიგი წიგნები, რომლებიც განაზოგადებენ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, აგრეთვე სასარგებლო სასწავლო სახელმძღვანელოები მარქსიზმ-ლენინიზმში; გამოთებმა და ჟურნალებმა გააუმჯობესეს პარტიის თეორიისა და პოლიტიკის პროპაგანდა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, მუშაობის ახალი ფორმების გამოყენებით, შესამჩნევად აამაღლეს კადრების ეკონომიური განათლების დონე, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე. გაძლიერდა ყურადღება სკკპ ისტორიის, განსაკუთრებით ოქტომბრის შემდგომი პერიოდის ისტორიის, აგრეთვე მარქსისტული ფილოსოფიის, ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლისადმი. უფრო აქტიური და ღრმა გახდა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და თანამედროვე რევიზიონიზმის კრიტიკა. დაგროვდა იდეოლოგიური მუშაობის მრავალმხრივი გამოცდილება, გაიზარდნენ პროპაგანდისტთა კადრები, გაუმჯობესდა მათი თეორიული და მეთოდური მომზადება, მნიშვნელოვნად განმტკიცდა პარტიული პროპაგანდის მატერიალური ბაზა.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ სიტყვიერ და ბეჭდვითს პროპაგანდას დღემდე დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

პარტიული პროპაგანდის მთავარი ნაკლი კვლავ არის ცხოვრებისაგან, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტა, რაც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაძლეული.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია ხშირად ივიწყებს, რომ პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი აზრია მისი ქმედითობა, რაც გამოიხატება კონკრეტული შედეგებით კომუნისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა სიუხვისათვის, წარმოების ორგანიზაციის უფრო მაღალი დონისათვის ბრძოლა იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება დამოკიდებულია საზოგადოების მატერიალური ბაზის განვითარებაზე და რომ მხოლოდ პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლის მსვლელობაში შეგვიძლია აღვზარდოთ კომუნისტური მომავლის ადამიანი.

სიტყვიერ და ბეჭდვითს პროპაგანდას, როგორც წესი, ჯერ კიდევ აკლია კონკრეტულობა და მიზანსწრაფულობა, მას ხშირად განყენებული, წმინდა განმანათლებლური ხასიათი აქვს, სჭირდება ზოგად მოწოდებებსა და ლოზუნგებს, გვერდს უვლის მწვავე საკითხებს, რომლებიც აინტერესებს ხალხის მასებს. ხშირად კომუნიზმის ცოცხალ იდეებს მასებში ავრცელებენ აბსტრაქტული ფორმით და არა გარკვეული, კონკრეტული ამოცანების სახით, მთავარ ყურადღებას უთმობენ წიგნური ფორმულების მექანიკურ დახსომებას და არა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის არსის შემოქმედებითს გაგებას, არა ბრძოლას კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვამ, ბრძოლამ იმისათვის, რომ თანამედროვე პირობებში პრაქტიკულად განხორციელდეს პრინციპი „ვინც არ მუშაობს — ის არც ჭამს“, ბრძოლამ მუქთახორებისა და პარაზიტული ელემენტების ნაშთების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ იცხოვრონ საზოგადოების ხარჯზე, თვითონ კი არაფერი მისცენ მას, ვერ დაიკავა ჯეროვანი ადგილი პროპაგანდისტულ მუშაობაში.

სიტყვიერ და ბეჭდვითს პროპაგანდაში საკმაოდ არ აშუქებენ პარტიის იმ ღონისძიებათა ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ აზრს, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა; ცუდად განაზოგადებენ და ცუდად ავრცელებენ ახლის, კომუნისტურის ყლორტებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში; სუსტად ავრცელებენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე გამოცდილებას. პროპაგანდისტულ მუშაობას ხშირად ეწევიან არადიფერენცირებულად, ადგილობრივი პირობების, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ასაკის, პროფესიის, განათლების, ეროვნებისა და სხვა თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში სუსტად და ზოგჯერ უუნაროდ განმარტავენ სოციალიზმის უპირატესობებს, საკმაოდ არ იყენებენ ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ მიღწევებს საზოგადოებრივი ცხოვრების. ყველა დარგში იმ მიზნით, რომ საბჭოთა ადამიანებს შთაუნერგონ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული სიამაყის სულისკვეთება. ეს სერიოზული ნაკლია მუშაობაში, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი აძლიერებენ ცხოვრების კაპიტალისტური წესის, კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის პროპაგანდას. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვან მნიშვნელობას არ აძლევენ მშრომელთა აღზრდას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ურღვევი, განუწყვეტლივ მზარდი მეგობრობის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთებისადმი შეურიგებლობის, იმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რომ „ეროვნული ტრადიციების“ მარკით აღადგენდნენ და ხელოვნურად ნერგავდნენ ჩამორჩენილ, რეაქციულ ზნე-ჩვეულებებს, იმის ოდავი ცდისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, რომ ყალბად გაგებული ადგილობრივი „ინტერესები“ დაუპირისპირონ კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის საერთო ინტერესებს.

გადაჭრით გმობს რა მედავითნეობასა და იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტას პრაქტიკული ამოცანებისაგან, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ამასთან, პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს თეორიის შეუფასებლობის შეუწყნარებლობას, იმ ფაქტებს, როცა სამეურნეო მშენებლობის, კონკრეტული ეკონომიკის, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს აშუქებენ და სწავლობენ ზერელედ, ისე რომ არ უზრუნველყოფენ შემოქმედებითს გაანალიზებას, ღრმა თეორიულ განზოგადებასა და დასკვნებს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

პარტიული პროპაგანდის მეორე სერიოზული ნაკლია მისი გავლენის სფეროს სივიწროვე, სუსტი მასობრივობა და ის, რომ გაშუქების ფორმა ყოველთვის როდია მისაწვდომი.

ამჟამად შექმნილია ყველა პირობა პარტიული პროპაგანდის ფარგლების გაფართოებისათვის, ისე რომ იგი გასაგები იყოს თვითეული მუშისათვის, კოლმეურნისათვის, ინტელიგენტისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ იყენებენ ამ პირობებს. სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა (პარტიული განათლება, ლექციები, პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემა, პერიოდული პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი) კვლავ ძირითადად მიმართულია უპირატესად პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატებისადმი, უპარტიო აქტივისადმი, ინტელიგენციისადმი. მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი საერთოდ ყოველდღიური იდეურ-პოლიტიკური გავლენის გარეშეა. პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა მრავალმხრივი, მოქნილი იყოს და სავსებით შეესაბამებოდეს თანამედროვე პირობებს.

იშვიათად და ზოგჯერ დაბალ დონეზე ხორციელდება მასობრივი ღონისძიებანი, გათვალისწინებული მშრომელთა ფართო ფენებისათვის: ლექციები და მოხსენებანი, კითხვა-პასუხის საღამოები, შემოქმედებითი დისკუსიები, თეორიული კონფერენციები, ამხანაგური გასაუბრება, თემატური საღამოები, საკვირაო საუბრები და სხვ. იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში მთლიანად არ არის გამოყენებული პროპაგანდის ისეთი საშუალებანი, როგორიც არის პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებანი.

ჯეროვანი და მუდმივი ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ლექციები, საუბრები, მოხსენებები, სტატიები, ბროშურები, პოლიტიკური მეცადინეობა გასაგები და პოპულარული იყოს. ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი ზრუნავს უნარიანი, საქმისმყვარული პროპაგანდისტების აღზრდისათვის, მათი თეორიული დონისა და მეთოდური ოსტატობის ამაღლებისათვის. ამიტომ პროპაგანდისტული გამოსვლები ზოგჯერ უფერული, მშრალი და ნაკლებად გამომსახველია, არ იწვევს მსმენელთა და მკითხველთა ინტერესს.

აღნიშნავს რა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათი კადრების დიდ მნიშვნელობასა და დადებითს როლს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემუშავებასა და პოპულარიზაციაში, საბჭოთა ადამიანების იდეურ აღზრდაში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამასთან მიაჩნია, რომ პარტიული პროპაგანდის შინაარსის ბევრი ნაკლი აიხსნება საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების გარკვეული ჩამორჩენით კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისა და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებისაგან. ბევრმა ეკონომისტმა, ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და სხვა მეცნიერმა მუშაკმა ვერ დაძლია დოგმატიზმის ელემენტები, ვერ იჩენს ცხოვრებისადმი, მასების ბრძოლის გამოცდილებისადმი გაბედულ და შემოქმედებითს მიდგომას, სუსტად ამუშავებს აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, ხშირად მოძველებული და უნაყოფო პრობლემატიკის ტყვეობაშია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და მისი ფილიალები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია და უმაღლესი პარტიული სკოლა, თეორიული ჟურნალები, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი კათედრა ჯერ კიდევ ნაკლებად არიან დაკავშირებული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასთან, მუდამ აქტიურად და შემოქმედებითად როდი ეხმარებიან მათ იდეოლოგიური მუშაობის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ პარტიულ პროპაგანდაში ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზია ის, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები, აგრეთვე უწყებები და დაწესებულებები, რომლებიც იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მუშაობენ, სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიული საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს.

პარტიული კომიტეტები, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები ხშირად მთავარ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდის გარეგნულ მხარეს, პროპაგანდისტულ მუშაობას აფასებენ, უმთავრესად, განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობის და არა მისი შედეგების მიხედვით, არა იმის მიხედვით, თუ როგორ უზრუნველყოფს იგი მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის, კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას. მთელ რიგ შემთხვევებში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, იმოწმებენ რა ოლქის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის ეკონომიური საქმიანობის საერთო დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მშრომელთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ ეწევიან გულმოდგინე ბრძოლას უცხო იდეოლოგიის წინააღმდეგ, არ უწევენ ჯეროვან წინააღმდეგობას ნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმისა და აპოლიტიკურობის გამოვლინებებს, ზოგჯერ პასიური, მოგერიებითი პოზიცია უკავიათ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრული იდეალისტური, რელიგიური იდეოლოგიის მიმართ, მწვავედ და დროზე არ ეხმაურებიან შრომის დისციპლინისა და კომუნისტური მორალის პრინციპების უხეშად დარღვევის შემთხვევებს, შემარიგებლურად ეკიდებიან წარსულის გადმონაშთებს საბჭოთა ადამიანების შეგნებაში.

ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი არ იღებს პირად მონაწილეობას პროპაგანდისტულ საქმიანობაში, ივიწყებს, რომ გულმოდგინე მუშაობა თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, ადამიანებთან ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების აქტიური განმარტება მასებისათვის, მშრომელთა მობილიზაცია პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის თვითეული კომუნისტის და მით უფრო ხელმძღვანელი კომუნისტის განუყრელი თვისება და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, სერიოზულად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პარტიული პროპაგანდისადმი, ყოველდღიურად და მტკიცედ იბრძოლონ მისი იდეური დონის ამაღლებისა და ხალხის მასებზე გავლენის გაძლიერებისათვის, დააყენონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა მთელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრში.

პარტიული პროპაგანდის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ღრმად და ყოველმხრივ განმარტოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, უჩვენოს მათი წარმატებით განხორციელება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის პარტიის ბრძოლის მსვლელობაში, ასწავლოს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და შემოქმედებითად განავითაროს პარტიის მიერ შეძენილი თეორიული სიმდიდრე, დარაზმოს მშრომელები პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად, აღზარდოს კომუნიზმისათვის აქტიური და მედგარი მებრძოლები.

მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში წამყვანი ადგილი უნდა ეჭიროს ბრძოლას პრინციპის „ვინც არ მუშაობს — ის არც ჭამს“ განუხრელი განხორციელებისათვის, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობას, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვისა და მორალური სტიმულების განვითარებისათვის. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს ღრმად ესმოდეს თავისი ყოველდღიური საქმიანობის უდიდესი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა, მიაჩნდეს იგი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, მატერიალური და კულტურული დოვლათის სიუხვის მიღწევის, კომუნიზმის სრული გამარჯვების გადამწყვეტ პირობად.

პარტიული პროპაგანდის ქმედითობა უწინარეს ყოვლისა თავს იჩენს კონკრეტული საწარმოო შედეგებით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროპაგანდაში ნაკლები იყოს პოლიტიკური ხმაური, მეტი იყოს კონკრეტული ბრძოლა კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის, სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა უნდა ემსახურებოდეს მასების მობილიზაციას შვიდწლიანი გეგმისა და სსრ კავშირში კომუნისტის მშენებლობის მთელი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, ახალი რეზერვების გამოვლინებასა და საუკეთესო გამოცდილების დანერგვას, სახელმწიფო სახსრებისა და ფასეულობათა მომჭირნეობით და ყაირათიანად გამოყენებას, ბრძოლას უძრაობისა და კონსერვატიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის დანერგვას.

პარტიული პროპაგანდის მოვალეობაა ცხოვრების მკაფიო მაგალითებით ცხადყოს სოციალისტური წყობილებისა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უპირატესობა, კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების შესანიშნავი ნიმუშები, აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების იდეურად გამოწრთობილი და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები. საჭიროა მშრომელები აღვზარდოთ პარტიისა და ხალხის საქმის ურყევი რწმენის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით; შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ აპოლიტიკურობის, ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში, წარსულის გადმონაშთების: შრომისა და საზოგადოებრივი მოვალეობის უგულებელყოფის, საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობის, ბიუროკრატიზმის, მექრთამეობის, სპეკულაციის, მლიქვნელობის, ლოთობის, ხულიგნობისა და ჩვენი წყობისათვის სხვა უცხო მოვლენების წინააღმდეგ.

საჭიროა ვაწარმოოთ აქტიური შემტევი ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო ბურჟუაზიული იდეო-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

(გაგრძელება)

ლოგიისა და მისი მემარჯვენე-სოციალისტური და რევიზიონისტული მქადაგებლების წინააღმდეგ, დაუცხრომლად ავამაღლოთ საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური სიფხიზლე.

თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ღრმა ახსნა-განმარტებას. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების განხორციელებისათვის ბრძოლის კონკრეტული ფაქტებით პარტიულმა პროპაგანდამ მშრომელები უნდა აღზარდოს სიამაყის გრძნობით თავიანთი დიდი სამშობლოსათვის, რომელიც მშვიდობისა და პროგრესის ძალების ავანგარდშია, გამოიწვიოს ყოველ საბჭოთა ადამიანში მხურვალე მისწრაფება თავდადებული შრომით განამტკიცოს საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კაპიტალიზმთან სოციალიზმის შეჯიბრების დიად საქმეში, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს. საჭიროა კვლავაც გადაჭრით ვამხილოთ „ცივი ომის“ განგრძობის იმპერიალისტი მომხრეები, ყველა ისინი, ვინც ცდილობს შეინარჩუნოს და გაამწვავოს საერთაშორისო დაძაბულობა და გამალებული შეიარაღება.

პარტიული პროპაგანდის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა, იმ თეორიული პრობლემებისა და პრაქტიკული ამოცანების ღრმად შესწავლა და ფართო ახსნა-განმარტება, რომლებიც წამოყენებულია პარტიის XX და XXI ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში, სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტული ფილოსოფიის შესწავლა. თანამედროვე პირობებში, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია შეუერთდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, როცა კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრა ამავე დროს არის დიდი თეორიული საკითხების გადაჭრა, საჭიროა ღრმად შევისწავლოთ ცხოვრება, განვაზოგადოთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა და ამ საფუძველზე ვისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმი, განვავითაროთ ჩვენი რევოლუციური თეორია და გავუწიოთ მას პროპაგანდა.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, **რომ პარტიული პროპაგანდის შედეგები, მისი ქმედითობა და აღმზრდელობითი როლი მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება იგი ხალხის შემოქმედებას, მის ცხოვრებას. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.** საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ავიღოთ ხელი არასწორ წარმოდგენაზე, თითქოს ბოლშევიკური პროპაგანდისტის ფუნქციის შესასრულებლად საკმარისი იყოს გადავცეთ მსმენელებს გარკვეული ზოგადი ცოდნა ციტატების მოშველიებით. შრომის პროცესში, კომუნიზმისათვის ბრძოლის მიმდინარეობაში აღზრდა თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულებაა. რომელმაც მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება პრაქტიკაში. პარტიული პროპაგანდა უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტულად და მიზანსწრაფულად, რაზმავდეს მშრომელებს მომწიფებული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ამ მიზნით საჭიროა:

ა) უფრო ფართოდ გავავრცელოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე გამოცდილება, კომუნისტური შრომის საუკეთესო ნიმუშები; განსუყრელად დავუკავშიროთ პროპაგანდა საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიურ საქმიანობასა და ამოცანებს, ხელი შევუწყოთ იმას, რომ თვითეულ კოლექტივში შეიქმნას მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარება; გავაშუქოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული დებულებანი ცხოვრებიდან აღებული მასალით, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის დადებითი მაგალითებით;

ბ) ყოველდღიურად შევაიარაღოთ კადრები და პირველ რიგში ის კადრები, რომლებიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან მასებში, კონკრეტული ეკონომიური ცოდნით, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული პროპაგანდისტი, იდეოლოგიური ფრონტის თვითეული მუშაკი კარგად ერკვეოდეს ეკონომიკის საკითხებში, იცნობდეს წარმოების მოწინავეებსა და მოწინავე გამოცდილებას, შეეძლოს უნარიანად დაუკავშიროს პარტიის თეორიის, ისტორიისა და პოლიტიკის საკითხების გაშუქება აქტუალურ პრაქტიკულ ამოცანებს;

გ) რეგულარულად მოწვეულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან აგიტატორების, პროპაგანდისტების, ინტელიგენციის თათბირები და კრებები და ამ თათბირებზე განხილულ იქნას ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკების მოხსენებები პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების. რაიონების. საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკული ამოცანებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

3. რადგან თანამედროვე პირობებში **მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დაუფლება, პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგება და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა არა მარტო კომუნისტების, არამედ ყველა მშრომელის საარსებო მოთხოვნილებაა,** საჭიროა გავაფართოოთ პროპაგანდისტული მუშაობის ფარგლები, მოვაწყოთ იგი კიდევ მეტი გაქანებით. მივიდეთ თვითეულ საბჭოთა ადამიანამდე.

ამ მიზნით საჭიროა:

ა) ბოლო მოვუღოთ აბსტრაქტულობასა და მეცნიერებას სიტყვიერ და ბეჭდვითს პროპაგანდაში. განვმარტოთ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დებულებანი მისაწვდომი და მიმზიდველი ენით, საბჭოთა ხალხის აქტუალური ამოცანების შესახებ, მისი შესანიშნავი მიღწევების შესახებ მკაფიო, მგზნებარე და დამაჯერებელი თხრობის ფორმით. ამასთან უნარიანად გამოვიყენოთ დადებითი მაგალითის ძალა. კომუნიზმის იდეების პროპაგანდა მახლობელი და გასაგები უნდა იყოს მშრომელთათვის, იყოს გულწრფელი. სწვდებოდეს თვითეული საბჭოთა ადამიანის გონებასა და გულს, აღუძრავდეს მას ყველაზე ნათელ და კეთილშობილურ აზრებსა და გრძნობებს.

ბ) ყოველი ღონისძიებით სრულყოთ და ნამდვილად მასობრივი გავხადოთ პროპაგანდის ისეთი საცადი ფორმები და საშუალებანი, როგორიც არის პოლიტიკური განათლების სისტემა, ლექციები, პრესა, რადიო და ტელევიზია. ზუსტად დავიცვათ ნებაყოფლობის პრინციპი, უფრო ფართოდ ჩავაბათ პოლიტიკური განათლების სისტემის მეცადინეობაში უპარტიოები, უწინარეს ყოვლისა აქტივისტები, კომკავშირელები და ახალგაზრდობა, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები. ვეცადოთ, რომ პარტიული განათლების სისტემაში მოსწავლენი საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ მასებში, კითხულობდნენ მოხსენებებს, აწყობდნენ საუბრებს, უზიარებდნენ მშრომელებს მიღებულ ცოდნას;

გ) მტკიცედ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ავამაღლოთ მასობრივი პროპაგანდის ისეთი მრავალფეროვანი ფორმების იდეური დონე. როგორიც არის კრებები, კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, თემატური საღამოები, დისკუსიები, კულტურის უნივერსიტეტები, ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტები და კლუბები, საკვირაო საუბრები და სხვ. მივაღწიოთ იმას, რომ მუშაობის თვითეული ეს ფორმა ცარიელი მექანიკურობით კი არ ამოიწუროს, არამედ თავისი სპეციფიკური ხერხებით უნარიანად და გასაგებად ქადაგებდეს კომუნისტურ იდეოლოგიას, ხელს უწყობდეს ახალი ადამიანის აღზრდას;

დ) უფრო აქტიურად გამოვიყენოთ მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა იდეური და ემოციური ზემოქმედება იმ მიზნით, რომ ავაჰაღლოთ პროპაგანდისტული მუშაობის აღმზრდელობითი როლი, პოპულარობა და ქმედითობა. რეგულარულად მოვიწვიოთ მკითხველთა და მაყურებელთა კონფერენციები მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების, სპექტაკლების, კინოფილმების განსახილველად; მოვაწყოთ კინოფესტივალები და კინოლექტორიუმები, მხატვრული ლიტერატურის, ფერწერის, სკულპტურის გამოფენები, გავაუმჯობესოთ ბიბლიოგრაფიული მუშაობა, წიგნისა და მუსიკის პროპაგანდა;

ე) მეტი ყურადღება დავუთმოთ კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების. მუზეუმების, პარკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას, რომლებიც, განსაკუთრებით სოფლად, საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნამდვილი ცენტრები უნდა გახდნენ;

ვ) გავაძლიეროთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფართოდ შემოვიღოთ პრაქტიკაში აღმზრდელობითი მუშაობის ინდივიდუალური ფორმები. მივიდეთ თვითეულ საბჭოთა ადამიანამდე, ხელი შევუწყოთ მის იდეურ ზრდას, კონკრეტულად და საგნობრივად ვიბრძოლოთ კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ადამიანთა შეგნებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს პროფკავშირების, კომკავშირის, ყველა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და შემოქმედებითი კავშირის დიდ როლს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საქმეში. იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭება ფართო გაქანება, შეძლებს გავლენა მოახდინოს თვითეულ საბჭოთა ადამიანზე, თუ ეს მუშაობა ცენტრალურ ადგილს დაიკავებს პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, თუ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საზოგადოებრიობის უდიდესი ძალები.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა პროპაგანდისტული მუშაობის დიფერენცირებულად მოწყობა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის პროფესიულ, ასაკობრივ, განთლების, ეროვნულ და სხვა თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინება.

მუშებსა და კოლმეურნეებში პროპაგანდისტულ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვას, კოლექტივიზმის, ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთ პატივისცემის, ყოფაცხოვრებაში ქცევის კომუნისტური ნორმების, ნოვატორობის სულისკვეთების განვითარებას, კონსერვატიზმისა და წარსულის გადმონაშთებისადმი შეუწყნარებლობის განვითარებას.

ინტელიგენციაში პროპაგანდისტული მუშაობის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომისადმი მორალური სტიმულების გამომუშავება, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გონებრივი შრომის მუშაკთა იდეურ აღზრდას, პოლიტიკურ განათლებას, ისინი უნდა მოვიზიდოთ მასებში აქტიური აღმზრდელობითი მუშაობისათვის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სწორედ მაღალი კომუნისტური იდეურობა, განუყრელი კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასა და ხალხის ცხოვრებასთან საშუალებას მისცემს ინტელიგენციას ყველაზე სრულად გამოავლინოს თავისი როლი საბჭოთა საზოგადოებაში.

ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა დაეხმაროს მას სწორად გაიგოს საზოგადოებრივი მოვლენები, გადააქციოს კომუნისტური მორალის პრინციპები ღრმა პირად რწმენად, ჩაუნერგოს შეუწყნარებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, პოლიტიკურობის, ობივატელობის გამოვლინებისადმი. უნდა ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონე, მთავარი ყურადღება მივაქციოთ ქალიშვილებისა და ჭაბუკების პოლიტიკურ განათლებას, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას, მათთვის საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომის პატივისცემის, საზოგადოებრივი ქონებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უდიდესი ისტორიული აზრის დანახვის უნარის დანერგვას. საჭიროა ახალგაზრდა თაობა აღვზარდოთ მხნე, მამაცი და გულადი, რომელსაც ურყევად სწამს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება.

ახალგაზრდობაში კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა მრავალფეროვანი და საინტერესო უნდა იყოს ფორმებითა და მეთოდებით, ჰქონდეს ცოცხალი, ხატოვანი, პოპულარული ხასიათი. მას საფუძვლად უნდა დაედოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების, ჩვენი პარტიისა და ქვეყნის გმირული ისტორიის შესწავლა, წარსულის საბრძოლო ტრადიციებზე და აწმყოს გმირობაზე, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის მაგალითებზე აღზრდა.

ქალებში პროპაგანდისტული მუშაობა უნდა დაექვემდებაროს მათი იდეური მოთხოვნილებებისა და ინტერესების ამაღლებას, ქალების, განსაკუთრებით დიასახლისების ჩაბმას აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რელიგიურ ცრურწმენათა, აგრეთვე მეშჩაობის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალების იდეურ აღზრდას თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს და გამოხატულებას პოულობდეს სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა ფორმაში. საჭიროა უფრო ხშირად და უფრო მაღალ დონეზე მოეწყოს ლექციები, საუბრები და სხვა ღონისძიებანი ქალებისათვის, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მათი პროფესიული საქმიანობა და მუშაობის გვარობა. საჭიროა ვაწარმოოთ ულმობელი ბრძოლა ქალებისადმი ფეოდალურ-ბატონკაცური დამოკიდებულების გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და კომიტეტებმა ზუსტად უნდა გაითვალისწინონ პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის **ეროვნული თავისებურებანი,** მდგავარი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. სოციალისტური ერების განუხრელ დაახლოებასა და ყოველმხრივ ურთიერთ გამდიდრებას. საჭიროა ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინების, წარსულის სოციალურ წინააღმდეგობათა იდეალიზაციისა და მიჩქმალვის, ამა თუ იმ ერის ნამდვილი ისტორიის და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მისი ურთიერთობის დამახინჯების ტენდენციების წინააღმდეგ, ეროვნული კარჩაკეტილობისა და განსაკუთრებულობის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

5. დაევალოს პარტიულ კომიტეტებს აამაღლონ **პარტიული განათლების** იდეური დონე, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლა მიიჩნიონ მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გადამწყვეტ რგოლად.

იმის გამო, რომ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებისა და კომუნისტური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დაუფლებას, მოეწყოს პოლიტიკური განათლების სისტემაში სკკპ ისტორიის ფართო, მეთოდებისა და ვადების მიხედვით დიფერენცირებული შესწავლა. ამასთან მთავარი ყურადღება მიექცეს დიდი სამამულო ომის, ომამდელი და ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით პარტიის XX ყრილობის შემდეგ პარტიის მოღვაწეობის შესწავლას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ისტორიიდან მასალების ფართოდ გამოყენებასთან ერთად საჭიროა ხაზი გაესვას ჩვენი პარტიის ისტორიის ინტერნაციონალურ შინაარსს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ისტორია შესწავლილ და დამუშავებულ იქნას როგორც სკკპ ისტორიის შემადგენელი ნაწილი. უნდა ვუჩვენოთ სკკპ ისტორიის ორგანული კავშირი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიასთან.

თანამედროვე პირობებში პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას, წარმოების სოციალისტური წესის განვითარების კანონების, განსაკუთრებით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზებისა და ქალაქად და სოფლად საწარმოო ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების ღრმად შესწავლას. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში იმ ძირითადი კანონების შესწავლას, რომლებიც წამოაყენეს პარტიის XX და XXI ყრილობებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, აგრეთვე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეკონომიკის საარსებო პრობლემების შესწავლას.

პოლიტიკური განათლების სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს მარქსისტული ფილოსოფიის საკითხების შესწავლამ, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პროცესების, განსაკუთრებით სოციალიზმიდან კომუნიზმში გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა, და ბუნებისმეტყველების ახალი მონაცემების დიალექტიკურ-მატერიალისტურმა გააზრებამ. საჭიროა შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები ყველა მისი შემადგენელი ნაწილის ორგანული ერთიანობით. უნდა ავამაღლოთ პოლიტსკოლების როლი იმ კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების დაუფლებაში, რომლებსაც არა აქვთ საჭირო ზოგადსაგანმანათლებლო და თეორიული მომზადება.

6. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ **პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის სიმძიმის ცენტრი საქმით გადატანილ უნდა იქნას პოლიტიკურ თვითგანათლებაზე,** როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითად მეთოდზე, რომელმაც მთლიანად გაამართლა პრაქტიკაში თავისი დანიშნულება. ახლანდელ პერიოდში, როცა მნიშვნელოვნად გაფართოვდა მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და პოლიტიკური ჰორიზონტი, მასობრივი ტირაჟებით გამოდის თეორიული და პოლიტიკური ლიტერატურა, საჭიროა ვეცადოთ, რომ წრეებსა და პოლიტსკოლებში სწავლობდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ნამდვილად არა აქვს საჭირო მომზადება წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

პოლიტიკურ თვითგანათლებაში **მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დამოუკიდებელი სწავლების კოლექტიურ, სემინარულ ფორმებს.** შეიქმნას ყველგან თეორიული სემინარების ფართო ქსელი, როგორც სკკპ ისტორიის, პოლიტეკონომიის, ფილოსოფიის სისტემატური კურსების, ისე ცალკეული პრობლემების და სხვ. შესასწავლად. ყოველწლიურად წაბალისდეს სემინარებში იმ თეორიული საკითხების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია მსმენელთა პრაქტიკულ საქმიანობასთან და პროფესიულ ინტერესებთან (კონკრეტული ეკონომიკის, ტექნიკური პროგრესის, კომუნისტური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხები, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ფილოსოფიური პრობლემები და სხვ.).

გაძლიერდეს დახმარება სკკპ თეორიისა და ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი, მოეწყოს მათთვის ლექციები და ლექციათა ციკლები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, თეორიული გასაუბრება და კონფერენციები. უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელნი პრაქტიკულ პროპაგანდისტულ მუშაობაში.

7. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ **თანმიმდევრობას პოლიტიკურ განათლებაში,** მტკიცედ ეცადონ, რომ თვითეული კომუნისტი წლიდან წლამდე სისტემატურად და მიზანსწრაფულად იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ეუფლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმს როგორც მთლიან მოძღვრებას. გადაჭრით აღმოიფხვრას ფაქტები, როცა კომუნისტები ან სრულებით არ მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, ან თანმიყოლებით მრავალი წლის განმავლობაში უტრიალებენ ერთსა და იმავე საკითხებს, რომლებიც, როგორც წესი, მეტად დაშორებულია თანამედროვეობას.

უკანასკნელ წლებში პარტიაში ჩამოყალიბდა პოლიტიკური განათლების მრჩევლი სისტემა. სრულყოფენ რა მას, პარტიული ორგანიზაციები უნდა ემყარებოდნენ იმას, რომ პოლიტიკური განათლების არავითარი სისტემა არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საბოლოო, სამუდამოდ მოცემული. მთავარი ამოცანა ის არის, რომ პოლიტიკური განათლების ფორმების არჩევანში ნებაყოფლობითი პრინციპის ზუსტი დაცვით სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას კომუნისტებისა და უპარტიოების მთელი მრავალფეროვანი მოთხოვნილებები და ინტერესები.

რეკომენდებულ იქნას პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების შემდეგი სანიმუშო სისტემა:

ა) პოლიტიკური სკოლა, როგორც მარქსისტულ-ლენინური განათლების დაწყებითი საფეხური;

ბ) სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრეები და თეორიული სემინარები;

გ) მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი წრეები და თეორიული სემინარები;

დ) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის, ათეიზმის საკითხების. მიმდინარე პოლიტიკის. საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემსწავლელი თეორიული სემინარები და წრეები; ეკონომიური სკოლები;

ე) მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები; დამოუკიდებელი მუშაობა ინდივიდუალური გეგმების მიხედვით. აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებების, სკკპ ისტორიის ცალკეული პრობლემების, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ეთიკის, ესთეტიკის, ათეიზმის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და სხვ. შემსწავლელ თეორიულ სემინარებში.

გაძლიერდეს ხელმძღვანელობა პარტიული, კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემისადმი. კომკავშირული პოლიტიკური წრეებისა და სემინარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილ იქნან უკეთესად, ახალგაზრდობასთან მუშაობის მცოდნე და მოყვარული კომუნისტები, ბოლო მოეღოს დენადობას და შეიქმნას მყარი პროპაგანდისტული კადრები კომკავშირში.

8. იმის გამო, რომ პარტიული პროპაგანდის დონის უაღრესად დამოკიდებულია **პროპაგანდისტულ კადრებზე,** დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ პოლიტიკოსების, წრეების, თეორიული სემინარების ხელმძღვანელების, კონსულტანტებისა და ლექტორების შერჩევა, აღზრდა, თეორიული და მეთოდური მომზადება. ამ მიზნით:

ა) უფრო ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული პროპაგანდისტულ საქმიანობაში პარტიული მუშაკები, აგრეთვე ინჟინრები, აგრონომები და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტები. უნდა გვახსოვდეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების წარმატებით პროპაგანდა შეუღიათ მხოლოდ ყოველმხრივ მომზადებულ და მტკიცე რწმენის მქონე ადამიანებს, რომლებსაც უნარი აქვთ შემოქმედებითად, გასაგებად და მკაფიოდ, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, განმარტონ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი დებულებანი, საქმის ცოდნით ერკვეოდნენ კონკრეტული ეკონომიკის საკითხებში, კარგად იცნობდნენ საწარმოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკული საჭიროებანი. საჭიროა მეტ მზრუნველობის გამოჩენა პროპაგანდისტების გონებრივი არის გაფართოებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, მათი მეთოდური ოსტატობის სრულყოფისათვის;

ბ) უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი პარტიული კომიტეტებთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარიებისა და კურსების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

გ) გაძლიერდეს პროპაგანდისტული მუშაობის გაშუქება გაზეთებში, ჟურნალებში, ბროშურებსა და წიგნებში, რადიოთი და ტელევიზიით. გამოიცეს „პროპაგანდისტის ბიბლიოთეკა“ პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკისა და მეთოდიკისადმი მიძღვნილი ბროშურების სერიიდან;

დ) უფრო აქტიურად ჩაბმულ იქნან პროპაგანდისტულ მუშაობაში საზოგადოებრიობის ძალები, გაძლიერდეს ზრუნვა პროპაგანდისტების ავტორიტეტის ამაღლებისა და მორალური წახალისებისათვის. აიკრძალოს როგორც არასწორი და საქმისათვის საზიანო, საზოგადოებრივი დავალებებით პროპაგანდისტების გადატვირთვის პრაქტიკა. პროპაგანდისტული მუშაობა მიენიჭოს ძირითად და უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებად.

9. დაევალოს პარტიულ კომიტეტებს გააქტიურონ **პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების** საქმიანობა, გააძლიერონ მათი როლი პროპაგანდისტული მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებაში, თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის და პროპაგანდისტებისათვის თეორიული და მეთოდური დახმარების ორგანიზაციაში. მოწონებულ იქნას პრაქტიკა, მსხვილ პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან პოლიტიკური განათლების კაბინეტების შექმნისა საზოგადოებრივ საწყისებზე, აგრეთვე მეთოდური საბჭოებისა და ჯგუფების შექმნისა.

პარტიის სასოფლო რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტებისა და პროპაგანდისტებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევის, პროპაგანდისტული მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების დარგში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საოლქო და სამხარეო ცენტრების პარტიის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლები გადაკეთდეს პარტიის სამხარეო, საოლქო და სათანადო საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებად, ამასთან განმტკიცდეს ისინი მაღალკვალიფიციური კადრებით.

10. იმის გამო, რომ პოლიტიკური განათლების იდეური დონე და მასშტაბი მნიშვნელოვნადწილად დამოკიდებულია **სახელმძღვანელობის, სასწავლო-მეთოდური და თვალსაჩინო ხელსაწყოების** არსებობაზე, გაგრძელდეს მუშაობა მათი შექმნისათვის. პირველ რიგში უნდა გამოიცეს სხვადასხვა, მოკლე და პოპულარული სახელმძღვანელოები მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელ ნაწილებსა და უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და ამ მიზნით ფართოდ იქნას გამოყენებული ღია კონკურსები. მოწყობის პრაქტიკა, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება.

უზრუნველყოფილ იქნას 1960-1961 წლებში პარტიული განათლების სისტემისათვის მომზადება და გამოცემა ფილოსოფიის, ათეიზმის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ეკონომიკის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის პოპულარული სახელმძღვანელოებისა; ქრესტომათიებისა (ცალცალკე მარქსიზმ-ლენინიზმის თვითეული შემადგენელი ნაწილის მიხედვით); წიგნებისა კომუნისტური აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებზე. ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ პრობლემებზე, თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოების სერიისა პოლიტიკური განათლების ფორმების სპეციფიკის გათვალისწინებით.

პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები მომარაგებულ იქნას თვალსაჩინო პროპაგანდის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს უფასო სარგებლობისათვის გადასცეს პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს დოკუმენტური და ქრონიკალური რეტროსპექტულ-რევოლუციური ფილმების ფონდები; ნებადართულ იქნას ისტორიულ-რევოლუციური მხატვრული ფილმების ჩვენება შემცირებულ ფასებში; მეტი შეიტანოს მოკლემეტრაჟიანი ისტორიულ-რევოლუციური, დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული ფილმები. აგრეთვე დიაფილმები პოლიტიკური განათლების სისტემისათვის.

11. დაევალოს პარტიულ კომიტეტებს გააძლიერონ გააფართოონ **ლექციური პროპაგანდის** მასშტაბი და აამაღლონ მისი იდეური დონე. მცდარად ჩაითვალოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე ლექციების რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რომელიც ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დაისახა. წარმოებულ იქნას ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ ლექციებში თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი პროცესების სერიოზული ანალიზი შეიცვალოს ზოგადი აბსტრაქტული მსჯელობით, ანბანურ ჭეშმარიტებათა გამაბეზრებელი განმეორებით ან ფაქტების ზერელე ჩამოთვლით. სისტემატურად გაეწიოს კონტროლი ლექციების ხარისხს. უზრუნველყოფილ იქნას ყველა დასახლებულ პუნქტში, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში თეორიის, პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის საკითხებზე ღრმაშინაარსიანი და მკაფიო, ფორმით გასაგები ლექციების რეგულარული კითხვა აუდიტორიის თავისებურებათა გათვალისწინებით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

(დასასრული)

განმტკიცებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, ფსკვნილი პირველადი ორგანიზაციების პარტიულ კომიტეტებთან არსებული ლექტორთა ჯგუფები. გაუმჯობესდეს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებებისა და კომკავშირის კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების მუშაობა, გაძლიერდეს პარტიული კონტროლი მათი საქმიანობისადმი. უფრო აქტიურად იქნან ჩაბმულნი ლექციურ მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ყველა დარგის სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები.

12. გაძლიერდეს **პრესის** როლი ხალხის კომუნისტურ აღზრდაში. თანამედროვე პირობებში, როცა გაზეთებისა და ჟურნალების განწტოებული ქსელის შექმნისა და წიგნების მასობრივი გამოშვების ამოცანა ძირითადად გადაწყვეტილია, მთავარია მათი იდეური დონის განუხრელი ამაღლება. უნარიანი გამოყენება კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად. ამ მიზნით საჭიროა:

ა) უფრო გაბედულად ვაყენებდეთ, ვამუშავებდეთ და პრესაში პროპაგანდას ვუწევდეთ აქტუალურ პოლიტიკურ, სამეურნეო, იდეოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ პრობლემებს. ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალ, ყველაზე უფრო ქმედითს ფორმებსა და მეთოდებს. გაზეთები და ჟურნალები მოვალენი არიან გახდნენ ნამდვილი სახალხო ტრიბუნა, პასუხს აძლევდნენ ყველა საჭირბოროტო საკითხზე, უფრო აქტიურად იჭრებოდნენ ცხოვრებაში და ენერგიულად ებრძოდნენ პარტიას კომუნისტური მშენებლობისა და მშრომელთა აღზრდის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში;

ბ) ძირეულად გავაუმჯობესოთ შინაარსი და ხარისხი პროპაგანდისტული მასალებისა პრესაში. გავაშუქოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული დებულებები ხალხის მასების ისტორიულ შემოქმედებასთან განუყრელ კავშირში. პრესის პროპაგანდისტულ გამოსვლებში უნდა ვერიდებოდეთ ზოგად მსჯელობასა და გამეორებებს, მოგვყავდეს მეტი, ზუსტი, მკაფიო მონაცემები და დასაბუთებული, მამობილიზებელი დასკვნები, ვასხვადასხვაფერებდეთ მასალის მიწოდების ფორმებს (სპეციალური გვერდები, რეცენზიები, შემოქმედებითი განხილვა და ა. შ.), რაც შეიძლება ფართოდ ვიყენებდეთ საბრძოლო პარტიული პუბლიცისტიკის ჟანრს. ოპერატიულად განვმარტავდეთ და კომენტარს ვუკეთებდეთ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მწვავედ ვამხილებდეთ საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო იდეოლოგიას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვასწავლიდეთ მასებს დადებითი მაგალითებით, ფართოდ ვუჩვენებდეთ პრესაში საბჭოთა ხალხის უდიდეს წარმატებებს, ახლის, კომუნისტურის ყლორტებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში;

გ) ბოლო მოვუღოთ ბეჭდვითს პროპაგანდაში ავტორთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფის მონაწილეობას მავნე პრაქტიკას, პრესაში გამოსვლებისათვის მოვიზიდოთ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, ყველა დარგის სპეციალისტები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, გულმოდგინედ ვზარდოთ ჟურნალისტთა და ავტორთა ახალი კადრები იმ ადამიანებიდან, რომლებიც იცნობენ ცხოვრებას და აქვთ პარტიული, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო მუშაობის გამოცდილება, მუშა და სოფლის კორესპონდენტებიდან. თვითეული გაზეთის, ჟურნალის გარშემო შემოკრებილ უნდა იქნან ნიჭიერი პუბლიცისტები, პროპაგანდისტები, რევოლუციური თეორიის უნარიანი პოპულარიზატორები, რომლებსაც უნარი შესწევთ ოპერატიულად გამოეხმაურონ საჭირბოროტო საკითხებს მკაფიო, შთამბეჭდავი გამოსვლებით პრესაში;

დ) გავაძლიეროთ გაზეთების რედაქციებში პროპაგანდის განყოფილებათა როლი და განვამტკიცოთ მომზადებული. საჭმის მცოდნე მუშაკებით. მოწონებულ იქნას პრაქტიკა რაიონულ და საქალაქო გაზეთებთან პროპაგანდის უშტატო განყოფილებათა შექმნისა და პრესის ორგანოების საქმიანობაში საზოგადოებრიობის ჩაბმის სხვა ფორმები;

ე) უფრო ღრმად განვაზოგადოთ და უფრო ფართოდ გავავრცელოთ გაზეთებში, ჟურნალებში, ბროშურებში, წიგნებში პარტიული ორგანიზაციებისა და საუკეთესო პროპაგანდისტების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება, დავაყენოთ და განვიხილოთ სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის პრაქტიკისა და მეთოდიკის საკითხები;

ვ) უფრო მეტი რაოდენობით გამოვუშვათ მილიონობით მუშებისა და გლეხებისათვის განკუთვნილი მასობრივი პოლიტიკური ლიტერატურა, რომელიც მისაწვდომი, გამომსახველი ფორმით უნდა გადასცემდეს თეორიისა და პარტიის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, განაზოგადებდეს კომუნიზმის მშენებლობისა და ახალი ადამიანის აღზრდის გამოცდილებას, განმარტავდეს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ეს ლიტერატურა მოცულობით მცირე, პოლიგრაფიულად კარგად შესრულებული უნდა იყოს და ძვირი არ უნდა ღირდეს.

13. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას **უფრო სრულად გამოიყენონ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია** მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად მშრომელთა მობილიზაციის მიზნით. ამაღლდეს რადიოს და ტელევიზიის იდეური დონე, რეგულარულად გადაცემულ იქნას შინაარსიანი, მოკლე საუბრები და ლექციები, რომლებსაც შეეძლებათ დაინტერესონ მსმენელთა უფართოესი ფენები და რომლებიც მიძღვნილი იქნება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირეული პრობლემებისადმი, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი. დაწესდეს, რომ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები სისტემატურად უნდა კითხულობდნენ ლექციებსა და მოხსენებებს რადიოთი და ტელევიზიით, პასუხს აძლევდნენ კითხვებზე, რომლებიც მშრომელებს აინტერესებს.

14. **ამაღლდეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი კომუნისტურ აღზრდაში, პროპაგანდისტულ მუშაობაში.** პარტიული პროპაგანდა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნამდვილად ღრმა და ქმედითი, როცა იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ცნობისმოყვარე აკლებული აზრით, როცა მასში უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საუკეთესო სამეცნიერო ძალები. თავის მხრივ საზოგადოებრივ მეცნიერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება შესრულოს თავისი ამოცანები, თუ იგი ორგანულად არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობისა და იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკასთან, პარტიული პროპაგანდის საარსებო მოთხოვნილებებთან.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკები მოვალენი არიან სწავლობდნენ და განაზოგადებდნენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლის გამოცდილებას, იბრძოდნენ ცხოვრებაში, შემოქმედებითად ამუშავებდნენ თანამედროვეობის ძირეულ თეორიულ პრობლემებს, სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ძირითად კანონზომიერებებს. საბჭოთა მეცნიერების საპატიო მოვალეობაა უახლოეს წლებში მოამზადონ და გამოსცენ:

ა) სკკპ ისტორიის მრავალტომიანი შრომა, რომელიც ყოველმხრივ უნდა იქნას გაშუქებული ჩვენი პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის მისი გამოცდილების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა;

ბ) ფილოსოფოსების, ეკონომისტებისა და ისტორიკოსების ერთობლივი გამოკვლევანი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს, ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე;

გ) მეცნიერული შრომები კომუნისტური მშენებლობის გზების შესახებ, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის შესახებ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპის შესახებ, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ღეგევისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარების შესახებ;

დ) მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც ამხილებენ კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ, მემარჯვენე სოციალისტ და რევიზიონისტ დამცველთა ფსეუდომეცნიერულ თეორიებს.

ამჟამად, როცა უაღრესად იზრდება იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათი კადრების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადაჭრით მიუახლოვდნენ სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის პრაქტიკას, საგრძნობი წვლილი შეიტანონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. მეცნიერი მუშაკები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები მოწოდებული არიან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროპაგანდისტულ მუშაობაში და მისი გამოცდილების მეცნიერულ განზოგადებაში, პარტიული განათლების სისტემისათვის გეგმებისა და პროგრამების, სახმწავლო, მეთოდური და სხვა სახელმძღვანელოების შემუშავებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში მასობრივი პოპულარული გამოცემების შექმნაში, გამოდიოდნენ ლექციებით, მოხსენებებითა და საუბრებით.

15. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა **უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის** შემდგომი გაუმჯობესება, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების შეერთება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან ქმნის განსაკუთრებით ხელშემწყობ პირობებს მოსწავლე ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და მაღალი კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებისათვის.

ავამაღლოთ უმაღლეს სასწავლებლებში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების დონე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე მუშაობისათვის მოვიზიდოთ მსაწავლებელთა კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ შემოქმედებითად და საინტერესოდ გადასცენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, ჩაუნერგონ სტუდენტებს რევოლუციური თეორიის შესწავლის სიყვარული. მტკიცედ უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული სტუდენტი ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, როგორც შემოქმედებითს, ცხოვრებასთან განუყრელად დაკავშირებულ მოძღვრებას, შეეძლოს იხელმძღვანელოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებებით ამ თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულებებით. სტუდენტ ახალგაზრდობას უნდა ვეზიდავდეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ვეწერგავდეთ მას პროპაგანდისტული მუშაობის კონკრეტულ ჩვევებს.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა საშუალო სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების როლი, რომლებიც მოწოდებული არიან ზრდიდნენ კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ მომზადებულ მშენებლებს. ამიტომ ზრუნვას საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კომუნისტური მსოფლმხედველობის, მაღალი შეგნებულობის ჩამოყალიბებისათვის ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ სასწავლო დისციპლინების შეთვისების პროცესში მოსწავლეები და სტუდენტები ეუფლებოდნენ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, კომუნისტურ იდეოლოგიას, სწავლობდნენ პარტიის პოლიტიკის გაგებას და იბრძოდნენ მისი განხორციელებისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საშუალო სკოლების უფროს კლასებში და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უფროს კურსებზე პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების პოპულარული კურსის სწავლების შემოღება 1961-1962 სასწავლო წლიდან. მომზადებულ იქნას სპეციალური სახელმძღვანელო ამ კურსის შესწავლისათვის.

16. სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გაძლიერონ იდეოლოგიური მუშაობის, პირველ რიგში მისი გადამწყვეტი უბნის, პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობა. პარტიული პროპაგანდის საკითხები მუდამ უნდა იყოს პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, მათ სისტემატურად უნდა განიხილავდნენ ბიუროებზე, პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა. საჭიროა მუდამ გაუმჯობესებდეთ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა შერჩევასა და აღზრდას, რომლებიც იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მუშაობენ, უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ ახალგაზრდა, მომზადებულ კადრებს.

პარტიული პროპაგანდის, კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა პოლიტიკური განათლებისა და იდეური წრთობის საქმე ყველა კომუნისტის და პირველ რიგში ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათი მოვალეობაა ღრმად იცოდნენ, ყოველდღიურად მეცადინეობდნენ და პირადად მონაწილეობდნენ პროპაგანდისტულ მუშაობაში, იყვნენ იდეური დონის გულმოდგინედ ამაღლების, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების მაგალითი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ჩქეფდეს იდეური ცხოვრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას ყველგან, მტკიცედ ეცდებიან მიაღწიონ იმას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა იდგეს თანამედროვე ამოცანების დონეზე, ნაყოფიერად ემსახურებოდეს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

1960 წლის 9 იანვარი.

დავით სეფიაშვილი სტუმრად იაროსლავ ჩიჭთან

ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

ერთი საუკეთესო მეღორის სოციალისტური შრომის გმირის იაროსლავ სიმონის-ძე ჩიჭის საქმიანობას.

10 იანვარს აქ ჩამოვიდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე დავით სეფიაშვილი. იგი ეწვია შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის ცნობილ მეღორეს იაროსლავ ჩიჭს. მათი შეხვედრა გულთბილი, ამხანაგური და მეგობრული იყო.

მათ დიდხანს ისაუბრეს, გაუზიარეს ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება, რის შემდეგ ქართველმა მეღორემ დაათვალიერა მეღორეობის ფერმა, სადაც იაროსლავ ჩიჭი მუშაობს. აქვე იყვნენ პარტიის ზოლოჩევის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნიკოლოზ პოსტნიკოვი, შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრე ბონდარი, მეზობელ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და კოლმეურნეები. ამ დროს ჩიჭთან სტუმრად იმყოფებოდნენ ჟურნალ „ოგონიოკის“ კორესპონდენტები და ფოტორეპორტიორები. მათ ჩიჭსა და სეფიაშვილს ერთად გადაუღეს სურათები.

მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შემდეგ ჩიჭმა და სეფიაშვილმა სურვილი გამოთქვეს ერთმანეთთან ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში და გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ჩიჭმა ვალდებულება აიღო წელს გაასუქოს 1.000 ღორი, ცენტნერი ხორცის ღირებულება 200 მანეთამდე დაიყვანოს. დავით სეფიაშვილმაც ასეთივე ვალდებულება აიღო.

კითხვაზე — ხომ არ გაუძნელდება ამ ვალდებულების შესრულება, დ. სეფიაშვილმა განაცხადა:

— ამ ვალდებულების შესრულებისათვის ჩვენს ფერმაში ყველა პირობა არსებობს და მას უეჭველად გავანაღდებ, მით უმეტეს, რომ საფუძვლიანად გავეცანი ჩიჭის მუშაობის გამოცდილებას, რომელიც დამეხმარება და დიდად შემიწყობს ხელს.

დღეს ცნობილმა მეღორემ ქართველი სტუმარი დ. სეფიაშვილი სანადიროდ მიიწვია. მათ გვიან საღამომდე ერთად დაჰყვეს.

ვ. ბეჭაშვილი,
ბ. ბახტურიძე.

• • •

ლვოვი, 11 იანვარი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტებისაგან). დასავლეთ უკრაინაში თოვლი ბარდნის, ყინვებია. მაგრამ ზოლოჩევის რაიონის სოფელ სტრუტინის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობაში მრავლად შეხვდებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. აქ ნახავთ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ყაზახეთიდან, მოლდავეთიდან, ბელორუსიიდ ან, ჩუვაშეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან. ისინი არ უშინდებიან ყინვასა და შორეულ მგზავრობას. მათ სურთ საკუთარი თვალით ნახონ და გაეცნონ ჩვენი დროის ერთ-

სურათებზე: ქვევით (მარცხნიდან მარჯვნივ) — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე დ. სეფიაშვილი, პარტიის ზოლოჩევის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. პოსტნიკოვი, სოფელ სტრუტინის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ბონდარი, ამავე კოლმეურნეობის მეღორე იაროსლავ ჩიჭი. ზევით — იაროსლავ ჩიჭი და დავით სეფიაშვილი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ერთმანეთს მაგრად ართმევენ ხელს.

ფოტო ს. ონანოვისა. („კომუნისტის“ სპეც. კორ.).

თეთრწყაროელები იწვევენ რიაზანელებს

თეთრი წყარო. (ტელეფონით). მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად თეთრიწყაროს რაიონის მშრომელები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სასახელოდ განხორციელებისათვის, რათა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და, კერძოდ, საზოგადებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობა. თეთრწყაროელებმა რეზერვების ამოქმედებით, არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებით გასულ სამეურნეო წელს არც თუ ცუდი შედეგები მოიპოვეს.

საკმარისია ითქვას, რომ 1959 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებულ იქნა 29,7 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1958 წელს წარმოებული 8,8 ცენტნერისა, ესე იგი 3,3-ჯერ მეტი. თუ 1958 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებულ იქნა 58 ცენტნერი რძე, შარშან მან მიაღწია 94 ცენტნერს. ერთი წლის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 1.500-ით, და სხვ.

— მაგრამ ეს მაჩვენებლები, — განაცხადა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ა. ბეჭაურმა,** — არ გვაკმაყოფილებს. შვიდწლედის მეორე წელს დიდი ამოცანებია დასახული. უნდა ვაწარმოოთ მეტი ხორცი, რძე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამ საქმეში დიდად შეგვიწყობს ხელს მთელ ჩვენს ქვეყანაში მოწინავე რიაზანის ოლქის სასოფლო რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება.

ეს თათბირი სწორედ რიაზანის ოლქის სასოფლო რაიონთან შეჯიბრების მოწყობისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების აღების გაფორმებას მიეძღვნა. დასამალავი როდია, რომ ამ მოწინავე რაიონთან შეჯიბრება და წარმატების მოპოვება ადვილი საქმე არ არის. იგი ჩვენ დაძაბული, შემოქმედებითი შრომით უნდა მოვიპოვოთ.

ამ დიდ ამოცანებზე, მათი განხორციელების გზებზე და საშუალებებზე მსჯელობდნენ 11 იანვარს გამართული თათბირის მონაწილენი, რომლებმაც ერთსულოვნად გადაწყვიტეს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში რიაზანის ოლქის სასოფლო რაიონის მშრომელებთან.

თეთრწყაროელებმა იკისრეს:

შვიდწლედის მეორე წელს რაიონში იყოლიონ 17.160 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 5.440 სული ძროხა. ცხვრის სულადობა აიყვანონ 48.000-მდე, დედაღორის—1.290-მდე და თვითეულ დედაღორზე გაზარდონ თოთხმეტი გოჭი.

წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.800 კილოგრამი რძე. სულ რაიონში აწარმოონ 106.500 ცენტნერი რძე ანუ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე — 160 ცენტნერი, საზოგადოებრივ მეურნეობაში — 33.000 ცენტნერი ხორცი. აქედან ღორის ხორცი — 10.500 ცენტნერი, ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე — 50 ცენტნერი ხორცი, 230 კილოგრამი მატყლი.

თეთრწყაროელებმა პირობა დადეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ სამჯერ მეტი ხორცი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს, ორჯერ მეტი რძე ანუ 10.000 ცენტნერი. ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და მეცხოველეებმა.

სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. გრეჩკინმა თათბირს პირობა მისცა, რომ წელს მეწველი ძროხების რაოდენობას აიყვანენ 375 სულამდე და თვითეულ ძროხაზე მიიღებენ 2.200 კილოგრამ რძეს. ამ კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა ტ. ფედოსეევამ ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე მოწველოს 3.500 კილოგრამი რძე, ხოლო ნორა ქავთარაძემ — 3.000 კილოგრამი. აღნიშნული კოლმეურნეობა წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოებს 250 ცენტნერ რძეს, 70 ცენტნერ ხორცს და სახელმწიფოს მიჰყიდის სამჯერ მეტ ხორცს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს.

მანგლისის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი პირობას იძლევა წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 800 ტონა რძე. ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სოფლების ასურეთის, ჯიგრაშენის, ჯორჯიაშვილის და სხვა კოლმეურნეობებმა.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს შეჯიბრებაში ჩაბმული რიაზანელებთან გასაგზავნი წერილის ტექსტი და გადაწყვიტეს ამ დღეებში გაგზავნონ თეთრწყაროელთა დელეგაცია რიაზანის ოლქის სასოფლო რაიონში მოწინავე გამოცდილების გაცნობისა და სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

საზღვარგარეთული პრესის გამოხმაურება საქმის ცნობის გამო

საქმის ცნობა ახალი მძლავრი რაკეტის მომავალი გამოცდის შესახებ, რომელიც განკუთვნილია დედამიწის მძიმე თანამგზავრთა გასაშვებად და კოსმოსური ფრენის განსახორციელებლად მზის სისტემისაკენ, საზღვარგარეთული პრესის ყურადღების ცენტრშია.

ამ ცნობას მთავარი ადგილი ეთმობა ჩინეთის პრესაში. „ჟენმინ ჟიბაო“ დიდრონი იეროგლიფებით ბეჭდავს სათაურს: „მზადება დედამიწის მძიმე თანამგზავრთა გასაშვებად და მზის სისტემის პლანეტებისაკენ კოსმოსური ფრენის განსახორციელებლად. საბჭოთა კავშირი მოიწყობს მძლავრი გამოსაცდელი რაკეტის გაშვებას“. საბჭოთა კავშირმა, ხაზგასმით აღნიშნავს „დაგუნბაო“, გადაწყვიტა მოაწყოს კიდევ უფრო მძლავრი რაკეტების საცდელი გაშვება. ყველა გაზეთი აღნიშნავს: იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნაოსნობისა და თევზმფრინავთა ფრენის უსაფრთხოება წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში რაკეტების გაშვების მოწყობის დროს, საბჭოთა მთავრობამ წინასწარ გააფრთხილა ყველა ქვეყნის მთავრობები რაკეტების ჩამოვარდნის დროისა და რაიონის შესახებ.

პეკინის გაზეთები აგრეთვე აქვეყნებენ რაკეტების ჩამოვარდნის რაიონის რუკას და საბჭოთა მძლავრი რაკეტის მომავალი გამოცდის გამო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ გამოხმაურებას. საერთო სათაურით „ვაშინგტონი შეძრწუნებულია“ „დაგუნბაო“ ბეჭდავს ამერიკის სხვადასხვა გაზეთის განცხადებებს მომავალ გამოცდასთან დაკავშირებით.

ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „მსოფლიო კვლავ აღტაცებით შეჰყურებს მოსკოვს“, ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა რაკეტების გაშვება წყნარი ოკეანის რაიონში მიძღვნილია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისადმი. ისინი ემსახურებიან მხოლოდ მეცნიერების, პროგრესის საქმეს. ამიტომ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარულ ადამიანს უხარია საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი. მსოფლიო ამ უკანასკნელ წლებში არაერთხელ აღტაცებულა საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე მონაპოვრების გამო, აღნიშნავს გაზეთი. და ამჟამად იგი სულგანაბული მოელის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ძლავრი და უძლეველი სოციალისტური წყობილების, იმ დიდი საბჭოთა ხალხის ახალ ისტორიულ გამარჯვებებს, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ სარედაქციო სტატიაში „მსოფლიოს ხალხს მლოდიებისაკენ“ წერს, რომ ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას საკდესის ცნობაში უწინარეს ყოვლისა ახდენს საბჭოთა რაკეტების სიმძლავრის ზრდა, მომავალი გამოცდის წმინდად მეცნიერულ-კვლევითი ხასიათი. ზემძლავრი რაკეტები ჩაყენებულია მეცნიერებისა და პროგრესის და არა ომისა და ნგრევის სამსახურში, წერს გაზეთი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთებს ახალი საბჭოთა რაკეტის მომავალი გამოცდა მიაჩნიათ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთ დიდ გამარჯვებად. „საბჭოთა რაკეტების წონა დიდდება და ისინი სულ უფრო შორს მიფრინავენ“, — ხაზს უსვამს გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“. ამ გამოცდის დიდი მეცნიერული და ტექნიკური მნიშვნელობა, აცხადებს „ბერლინერ ცაიტუნგი“, ის არის, რომ მათი მეოხებით სინამდვილე ხდება კიდევ უფრო მძიმე თანამგზავრთა გაშვება, აგრეთვე კოსმოსური რაკეტების გაფრენა მზის სისტემის პლანეტებისაკენ.

საბჭოთა მეცნიერების ახალი წარმატებანი, „ნამდვილი სენსაციაა“, „საბჭოთა მეცნიერება ახალ-ახალ წარმატებას აღწევს კოსმოსში“, „რაკეტების გაფრენა მზის სისტემის პლანეტებისაკენ“, „სხვა პლანეტებზე ნახტომის წინ“, — ასეთი სათაურებით გამოაქვეყნა პოლონეთის გაზეთებმა საკდესის ცნობა. „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ ახლოვდება დრო, როცა ადამიანი სხვა პლანეტებზე გადასხდება. გაზეთი „ძენიკ ლუდოვი“ ხაზს უსვამს, რომ „განსაცვიფრებელია დაჯერებულობა და სიზუსტე ამ მძლავრი რაკეტების ფრენის ტრასის განსაზღვრაში“. „უიცე-ვარშავი“ სათაურით „უდიდესი ნაბიჯი კოსმოსში“ აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის სტატიას. კორესპონდენტი წერს, რომ კოსმოსური კვლევის შემდგომი სერიოზული განვითარება წელს, რაზეც ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა არგენტინის გაზეთის დირექტორის კითხვებზე გაცემულ პასუხში, უკვე ფაქტი ხდება. ამგვარი რაკეტების მომზადება, რომლებიც ყველაზე მძლავრია მსოფლიოში, უდიდესი წარმატებაა საბჭოთა ტექნიკისა და მეცნიერების, რომელსაც ამ დარგში ტოლი არ მოეპოვება.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „ობრანა ლიდუ“ სათაურით „სსრ კავშირის უპირატესობა კვლავაც გაიზრდება“ ბეჭდავს ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერთა მოსაზრებებს საბჭოთა კავშირის უახლოესი შემართებითი გეგმების შესახებ მსოფლიოს კვლევაში. ჩვენ საბჭოთა მეცნიერების იმ ახალი ნაბიჯის მოწმენი ვართ, რომელიც მან გადადგა ადამიანის ოცნების — კოსმოსში გაფრენის განხორციელების საქმეში, წერს პროფესორი ფ. პოლანსკი. მხოლოდ საბჭოთა მეცნიერების წარმატებათა მეოხებით კაცობრიობის ეს ოცნება სინამდვილე ხდება. მათი ხანგრძლივი მძიმე შრომა დაგვირგვინდა წარმატებებით, რომლებმაც განაცვიფრა მთელი მსოფლიო. ჩვენ ბედნიერი ვართ და გვახარებს სსრ კავშირის წარმატებები. გვუსმის რა, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჩვენ გამსჭვალული ვართ პატივისცემის, აღტაცებისა და სიამაყის გრძნობით საბჭოთა ადამიანების — მუშების, ტექნიკოსებისა და მეცნიერთა შრომისა და შეუპოვრობისათვის.

კ. გოტვალდის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. ბელონგი აცხადებს: „ჩვენ ყოველთვის გვკვირვებს ცნობები საბჭოთა მეცნიერების წარმატებათა შესახებ, მაგრამ კიდევ უფრო გვაკვირვებს სისწრაფე, რომლითაც ეს წარმატება მოჰყვება ერთიმეორეს. ჩვენ ვხედავთ იმის ახალ დადასტურებას, რომ საბჭოთა მეცნიერება სჯობს კაპიტალისტურს.

კაიროს ყველა გაზეთს მოჰყავს საკდესის ცნობის დაწვრილებითი შინაარსი და გამოჰყოფს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ ამ ტიპის რაკეტები განკუთვნილია კოსმოსური ფრენის განსახორციელებლად მზის სისტემის პლანეტებისაკენ. „რუსეთი გაუშვებს რაკეტებს მზის სისტემის პლანეტებზე. გაფრთხილება ეძლევა ყველა გემსა და თვითმფრინავს წყნარ ოკეანეში“, — წერს სათაურში პირველ გვერდზე გაზეთი „ალ-გუმჰურია ჰარდათ აშ-შაბი“.

ინდოეთის გაზეთებმა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს საკდესის ცნობა დიდრონი სათაურებით. „ახალი საბჭოთა რაკეტა, გამოცდა დაგეგმილია წყნარ ოკეანეში“, — წერს სათაურში „ინდიან ექსპრესი“.

საკდესის ცნობის, მოკლე შინაარსი დაბეჭდა ეთიოპიის გაზეთმა „ეთიოპიან ჰერალდმა“. გაზეთი გამოყოფს ცნობის იმ ადგილს, საიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა რაკეტებს თავდასხმის ფრიად მაღალი სიზუსტე ექნება.

პარიზის გაზეთების მიმომხილველებს საკდესის ცნობა მიაჩნიათ იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთად, თუ რა არაჩვეულებრივად მაღალია საბჭოთა მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დონე. გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ხაუბარი პროფესორ ვ. დობრონრავოვთან, აგრეთვე აკადემიკოს ა. დოროდნიცინის სტატიის ნაწყვეტები, რომელნიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“. მძიმე თანამგზავრების შექმნა, მარსისა და ვენერასაკენ გაფრენა — ასეთია მომავალი გამოცდის ორმაგი მიზანი, ხაზს უსვამს გაზეთი „ლიბერასიონი“. „საკდესის ცნობა ვენერასა და მარსზე მძიმე თანამგზავრის გასაშვებად განკუთვნილი ზემძლავრი რაკეტის მომავალი გამოცდის შესახებ სენსაციურია“,— წერს გაზეთი „კომბა“. იგი, აცხადებს გაზეთი, მოასწავებს „ახალ ეტაპს პროგრესისა და, კერძოდ, სსრ კავშირის ტექნიკური უპირატესობის განვითარების გზაზე მართული უყმბარებისა და ასტრონავტიკის დარგში“. (საკდესი).

გროტევოლის გამოსვლა

ბერლინი, 9 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა განაცხადა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა ამჟამად მთავარი პრობლემაა და რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთათვის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ქმედითი საშუალება ამ ბრძოლაში არის შვიდწლიანი გეგმის კანონი, რომელიც მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ.

ო. გროტეოლმა სიტყვით მიმართა ზლბიცის სახალხო ფოლადამსხმელო საწარმოს მუშებს და აღნიშნა, რომ გერმანიის გაერთიანება აუცილებელი პირობაა მშვიდობიანი თანაარსებობის ტენდენციის, და მეორე მხრივ ცივი ომის გაგრძელობის ტენდენციისა. და ამ ბრძოლის ცალკეული გამოვლინებანი, რომლებიც ხშირად ამოტვიფრულია, ცხადყოფენ, რომ გაბატონებული წრეები ფედერაციული რესპუბლიკის ატომური იარაღით შეიარაღებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას ატარებენ.

ბონნის მთავრობა ცდილობს ატომური იარაღის შეძენის საკითხი ისე წარმოაჩინოს, თითქოს ეს ნატოს ევროპული ქვეყნების ერთიანი ნება იყოს. ეს ასე არ არის. ეს არის ბონნის მთავრობის ნება, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპის ხალხების ნებას. ბონნის მთავრობა ცდილობს ატომური იარაღის შეძენით ხელი შეუშალოს გერმანიის გაერთიანებას. ბონნის მთავრობა ცდილობს ატომური იარაღის შეძენით ხელი შეუშალოს გერმანიის გაერთიანებას. ბონნის მთავრობა ცდილობს ატომური იარაღის შეძენით ხელი შეუშალოს გერმანიის გაერთიანებას.

გერმანელები მოითხოვენ: „ძირს ნაცისტებს“

ბერლინი, 9 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს დასავლეთ ბერლინში ფაშისტთა განუწყვეტელ პროვოკაციებთან დაკავშირებით გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე ათეული ათასი კაცი. დემონსტრანტებს შორის იყვნენ ახალგაზრდათა ორგანიზაციების „შეკავშირების“, გერმანელ სტუდენტთა სოციალისტური კავშირის, „ბუნების მეგობრებისა“ და სხვა ორგანიზაციათა წევრები. დემონსტრანტებმა ჩარაღდნებითა და ტრანსპარანტებით დაიარეს დასავლეთ ბერლინის ქუჩები. ტრანსპარანტებზე ეწერა: „ძირს ნაცისტები“, „ბოლო მოეღოს ფაშისტთა გამოხდომებს“, „ჩვენ ანტისემიტიზმისა და ხალხთა შორის მტრობის გაღვივების წინააღმდეგი ვართ“. დასავლეთ ბერლინის ათასობით მცხოვრები მიესალმა დემონსტრანტებს.

დემონსტრაციის დროს ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც იყო მოთხოვნა, რომ გადამჭრელი ღონისძიებანი განხორციელონ ფაშისტური ელემენტების პროვოკაციების წინააღმდეგ.

დასავლეთ ბერლინის რაიონ ნოიკელნში ნაცისტის დროს დევნილ პირთა გაერთიანებამ საპროტესტო მიტინგი მოაწყო. მიტინგზე ორატორებმა მოითხოვეს, რომ დასავლეთ ბერლინში აიკრძალოს ყველა მილიტარისტული, რევანშისტული და ფაშისტური ორგანიზაციის საქმიანობა.

იტალიაში ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

რომი, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ რომში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს და რომელიც სამშობლოში ბრუნდება ლიბერიიდან. საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას იღებდა ზეიმში ლიბერიის რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის მიერ თანამდებობის ოფიციალურად დაკავების გამო.

რომის აეროდრომ „ჩამპინოზე“ ნ. ა. მუხიტდინოვსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი და საბჭოთა დაწესებულებების (იტალიაში) პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ნიქსონი—პრეზიდენტობის კანდიდატი

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტო იუწყება, რომ გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი დათანხმდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ძოძაკო არჩევნებში. ნიქსონის კანდიდატურის წამოყენების შესახებ წინადადება შეიტანეს რესპუბლიკური პარტიის ორეგონის, ოჰაიოსა და ნიუ-ჰემპშირის შტატების ორგანიზაციებმა.

კვლავ სამშობლოში

ჩვენი გაზეთის კვირას, 10 იანვარს, თბილისში მკითხველებმა იცან- დაბრუნდა საქართველოს ხალხური ან. თუ რა დიდი ცეკვის დამსახურებული ანსამბლი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, რამდენად ფართო იყო მისი პოპულარობა მთელ მსოფლიოში, ნათელი დადასტურება ის გრანდიოზული მიღება, რომელიც ხალხმა მოუწყო ანსამბლის დაბრუნებას გასტროლებიდან.

ანსამბლის ხელმძღვანელები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, ტექნიკური პერსონალი ჩამოვიდნენ ორ თვეზე მეტი ხნით ადრე. ამ დროის განმავლობაში ანსამბლმა ინგლისში, ბელგიაში და ლუქსემბურგში 24 კონცერტი გამართა. ამ ანსამბლის ხელმძღვანელებმა ინგლისში, ბელგიაში და ლუქსემბურგში ხელშეკრულებები გააფორმეს ანსამბლის ახალ გასტროლებზე.